საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანჩაბაძე გიორგი ზურაბის ძე

ანჩაბაძე გიორგი ზურაბის ძე (დ. 10. I. 1949, თბილისი), ისტორიკოსი, წყაროთმცოდნე. ისტ. მეცნ. დოტორი (1990), პროფესორი (1998). ზ. ანჩაბაძის შვილი.

1971 დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი თურქეთის ისტორიის განხრით. 1995-იდან საქართვ. თავდაცვის სამინისტროს გაერთ. სამხ. აკადემიის ისტ. კათედრის გამგეა. იკვლევს საქართვ. და კავკ. ხალხების პოლიტ., სამხ. და ეთნიკური ისტ., ისტორიული გეოგრ. საკითხებს; ურთიერთობებს ახლო არმოსავლეთის ქვეყნებთან; მუშაობს ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხებზე.

თხზ.: დიმიტრი ბაქრაძე როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი, თბ., 1982; საქართველოს ომების ქრონოლოგია (1490 წლამდე), თბ., 1998; Источниковедческие проблемы военной истории Грузии, Тб., 1990.